საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მაღრანდვალეთი

მაღრანდვალეთი, ისტორიული მხარე, თემი აღმ. საქართველოში, მდ. ლიახვის სათავეებში. ძირითადად მოიცავდა ახლანდ. ჯავის მუნიციპალიტეტის სოფ. ედისის ტერიტორიას. ცენტრი – ედისა (შუა ფეოდ. ხანა). სახელწოდება მ. პირველად გვხვდება XIV ს-ში („ძეგლი ერისთავთა“). ნაწარმოებია სიტყვა მაღნარიდან (ტყიანი) და მხარის სახელწოდება დვალეთიდან. გვიანდ. შუა საუკუნეებში მ. ქსნის საერისთავოს შემადგენლობაში მოექცა. ვახუშტი ბაგრატიონის (XVIII ს.) ცნობით, მ. ქსნის ერისთავთა მამული იყო. მ-ის ისტ. ძეგლთაგან აღსანიშნავია ე. წ. ცარციათების ნაქალაქარი სოფ. ედისის მახლობლად, „ზილდი მასიგ“ (უბნის კოშკი), ზურგიანი კოშკები გალუანთასა და ედისაში. მ-ის უძველესი მოსახლეობა ქართ. და დვალური იყო. გვიანდ. შუა საუკუნეებში აქ კომპაქტურად დასახლდნენ ოსი მოახალშენეები (იხ. აგრეთვე სტ. დვალეთი).

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი დ., დვალთა ვინაობისა და ოსთა ჩამოსახლების საკითხისათვის, წგ.: ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან (XIII–XIV სს.), თბ., 1962; Г а м р е к е л и В. Н., Двалы и Двалетия в I–XV вв. н. э., Тб., 1961; Т е х о в Б. В., Очерки древней истории и археологии Юго-Осетии, Тб., 1971.

ჯ. გვასალია